

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ:

პეტიციის ინიცირების დაწყების თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი და გვარი:

1. ოთახ ხაჯიშვილი;
2. მია მამიჩი;
3. ნეზხა ფხანგულიაშვილი;
4. ქეთევან კობახიანი;
5. თამარ კუთხოძე;
6. დათო სინიაძე;
7. თინათინ ფხანგულიაშვილი;
8. ლალი წაჩხაძე;
9. თატიკო ფხანგულიაშვილი;
10. გვირაქიანი;

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

პეტიცია

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დიდ უმრავლესობაში, მისამართების განმსაზღვრელი აბრები და ნიშნულები განთავსებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ელექტრონული მონაცემებით ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩევლების უმრავლესობას იურიდიული მისამართები განსაზღვრული აქვთ (ქუჩა, ჩიხი). არსებული ნომრები და ნიშნულები არ არის სტანდარტიზირებული და ამავდროს ამორტიზირებულია, ისინი ხშირად მიუთითებენ უკვე არ არსებულ ქუჩებს და არ ასახავენ ცვლილებებს რომელიც ქუჩების სახელების გადარქმევას მოყვება. ავღნიშნავთ, რომ არსებობს მაღალი აუცილებლობა თვით ქუჩების სახელების დაზუსტების და გადარქმევის რადგანაც ქალაქში ხშირია შემთხვევა როდესაც ერთ ლოგიკურ თანმიმდევრობაში განლაგებული დასახლება (ქუჩა, საცხოვრებელი კორპუსები) რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი. შესაბამისად, უცხოელი ტურისტებისთვის და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეებისათვის რთულია კონკრეტული ადგილის მოძებნა, მისი მიგნება. ასევე აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობა ხშირ შემთხვევაში პრობლემას უქმნის საფოსტო გზავნილების, სასწრაფო დახმარების, სამშველო სამსახურების ადრესატამდე მისვლას. ასევე ვფიქრობთ, რომ საჭიროა, გზაჯვარედინებზე განთავსდეს აბრები რომლებსაც მიუთითებენ ქუჩის დასახელებას და ნომრების რაოდენობას შემდეგ გზაჯვარედინამდე.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, "გ" ქვეპუნქტის და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უმოკლეს დროში უზრუნველყოთ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ქუჩებზე აბრებისა და ნიშნულების განთავსება

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ოთახ ხაჯიშვილი
2. მია მამიჩი
3. ნეზხა ფხანგულიაშვილი
4. ქეთევან კობახიანი
5. თამარ კუთხოძე
6. დათო სინიაძე
7. თინათინ ფხანგულიაშვილი
8. ლალი წაჩხაძე
9. თატიკო ფხანგულიაშვილი
10. გვირაქიანი

პეტიციის წარმდგენის თარიღი: 29 დეკემბერი 2016 წელი

საქართველო	
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	
პეტიციის №	233
დღე	29
თვე	12
წელი	2016 წ.
ფაქსი	203